SOCAR
KULEVI OIL TERMINAL

№ SCRK/LO-22/05-2102

2022 წლის 30 მაისი

Black Sea Terminal LLC
Kulevi, Khobi, 5800, Georgia
Phone: (995 32) 224 38 38
Fax: (995 32) 224 38 39
E-mail: info@bst.socar.az
www.kulevioilterminal.com

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსის
ფუნქციების დროებით შემსრულებელს,
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს (ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის) ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობა-ექსპლუატაციის და ტერმინალის ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. დაგეგმილ საქმიანობაზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა N13 (25.03.2022). დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია სააგენტოს № 21/1946 (23/05/2022) წერილით გათვალისწინებული საკითხები.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზუმე - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი ვერსია 2 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- ზედაპირული წლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი ვერსია 2 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- სკოპინგის დასკვნაზე N13 (25.03.2022) რეაგირების ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- სააგენტოს № 21/1946 (23/05/2022) წერილით გათვალისწინებული საკითხებზე რეაგირების ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- ტერმინალის საერთო გენ-გეგმა - ელექტრონული ვერსია;
- ყულევის საზღვაო ტერმინალის ავარიებზე რეაგირების გეგმა - ელექტრონული ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები shp ფაილების სახით.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

კარიმ გულიევი

შპს „შავი ზღვის ტერმინალის"
გენერალური დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„31" 05 2022წ.
№ 1909

Black Sea Terminal LLC

Digitally signed by Black Sea Terminal LLC
Date: 2022.05.30 14:43:28 +04'00'